



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87213376

თარიღი:03/12/2021

განკარგულება №43

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2, 2.1 და 2.2 პუნქტების, 30.1 მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- ა) იურიდიულ საკითხთა კომისია 9 წევრი;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 10 წევრი;
- გ) ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია 10 წევრი;
- დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია 9 წევრი;
- ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია 9 წევრი.

2. საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს სამი მესუთედისა;
- ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს ორი მესამედისა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, შესაბამისი კომისიის წევრი ხდება პირადი განცხადების საფუძველზე, - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30.1 მუხლის 2.2 პუნქტით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ

სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

